საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/63

ქ. ბათუმი **29 დეკემბერი, 2022 წ.**

მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში ბსუ-ს მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის და **ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის** (2018-2024წ.), ,,ერაზმუს+“-ის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტის **„მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში** - Strengthenining the QUAlity and RElevance of the 3rd mission in Georgian Universities“/ **SQUARE**), ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 29 ოქტომბრის N01-02/190 ბრძანების, **საქართველოს განათლების, მეცნიერების, ,,ბსუ-ს მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილების,** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის სხდომის N07-02/12 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში განხორციელდეს ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 29 ოქტომბრის N01-02/190 ბრძანებით დამტკიცებული ,,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული

რესურსებით სარგებლობა“, არაუმეტეს 20 მსმენელისათვის უფასოდ, 2023 წლის პირველ ნახევარში, გარე წყაროებიდან მიღებული მიზნობრივი დაფინანსებით (ბსუ-ს რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე).

2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა წინამდებარე გადაწყვეტილებაში აღნიშნული პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების შემდეგ წარუდგინოს ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სამსახურებრივი ბარათი (ანგარიში - მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში ბსუ-ს მიერ განხორციელებული პროფესიული მომზადების პროგრამის შედეგად გადამზადებული მსმენელების სწავლის შედეგების, პროფესიული დახელოვნების და უკუკავშირის, მათი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესების შესახებ და სხვა).
3. წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებისათვის, ასევე სამომავლოდ, მე-3 მისიის ფარგლებში უწყვეტი განათლების ან/და მოსამზადებელი მიმართულებით ან/და პროფესიული მომზადების/გადამზადების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ხელი მოაწერონ შესაბამის ხელშეკრულებებს, განსაზღვრონ პროგრამების დაფინანსების ხარჯთაღრიცხვა (მსმენელის სწავლის საფასური/მასწავლებელთა ან/და სხვა პერსონალის შრომის ანაზღაურების/სხვა ხარჯების ოდენობა) და გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტები.
4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**